შპს „ცეკური“
ხიზამბარელის ქ. N1
ქ. თბილისი, საქართველო
ს/კ: 209 442 174
ტელ.: +995 32 265 29 70
ელ-ფოსტა: tsekuri@gmail.com

"TSEKURI" LLC
1 Khizambareli Street,
Tbilisi, Georgia
ID: 209 442 174
Tel.:+995 32 265 29 70
E-mail: tsekuri@gmail.com

N 0811-1 11 აგვისტო 2026 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

შპს „ცეკური“-ს (ს/კ 209442174)
დირექტორის ბექა ხაბულიანის
ელ.ფოსტა info@enseco.ge

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ, რომ შპს „ცეკური“-ს ასფალტის წარმოებაზე საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2021 წლის 30 დეკემბრის №2-1729 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

შპს „ცეკური“-ს განხორციელებული აქვს საწარმოს ექსპლუატაციის ცვლილება, ასევე 2021 წლის 30 დეკემბრის №2-1729 ბრძანებით გაცემულ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებაში დასაზუსტებელია რიგი საწარმოო პროცესების მიმდინარეობა.

2025 წლის 04 ივლისს, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, კოდექსის მე-5 მუხლს დაემატა $12^1$ ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, იგი უფლებამოსილია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ამ კოდექსის $7^1$ მუხლით დადგენილი წესით, წარუდგინოს განცხადება და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში. ამ შემთხვევაში გამოიყენება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემისათვის, ამ კოდექსის $7^1$ მუხლით დადგენილი პროცედურა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის $12^1$ ნაწილის და ამავე კოდექსის $7^1$ მუხლის საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით,

საწარმოში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) ანგარიშსს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

**დანართები:**

მატერიალური და ელექტრონული დანართები:

1. შპს „ცეკური“-ს ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში, შესაბამის დანართებთან ერთად - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
2. შპს „ცეკური“-ს ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების არატექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი (ზდგ) - ორი ეგზემპლარი;
4. გზშ-ის მოსაკრებელი - ერთი ეგზემპლარი;

ელექტრონული დანართები:

1. Shp ფაილები;

პატივისცემით,

შპს „ცეკური“-ს დირექტორი:

ბექა ხაბულიანი